




სახელმწიფო აუდიტის სამსახური





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და
მთავრობასთან არსებული ორგანიზაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების
(პროგრამული კოდი :03 00) 2017 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის კონსოლიდირებული ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიშის შედეგების
შესახებ

სარჩევი

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები	3
1.1 არასაოპერაციო შემოსავლები	3
1.2 არასაოპერაციო ხარჯები	3
1.3 სხვა არასწორად კლასიფიცირებული მუხლები.....	4
2. სხვა საკითხთა აზიზი	5
2.1 შიდა კონტროლის სისუსტე	5
2.2 შრომის ანაზღაურება	5
2.3 პროგრამული ბიუჯეტი	6

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გასცა პირობითი მოსაზრება შემდეგ გარემოებათა გამო:

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 არასაოპერაციო შემოსავლები

გამოვლენილი გარემოებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, არასაოპერაციო შემოსავლები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 737,223 ლარს. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ არასაოპერაციო შემოსავლების მონაცემი 714,127 ლარით, უზუსტოდ (გაზრდილად) არის წარმოდგენილი და ნაცვლად 737,223 ლარისა, შეადგენს 23,096 ლარს. აღნიშნული განპირობებულია შემდეგით:

- საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტს, მოქმედი რეგულაციების დაუცველად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებიდან მიღებული 72,000 ლარის ღირებულების რკინა-ბეტონის ფილები და 245,441 ლარის ღირებულების სარწყავი არხები ნაცვლად „გრანტების“, აღრიცხული აქვს „არასაოპერაციო შემოსავლებად“;
- სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს „არასაოპერაციო შემოსავლების“ ანგარიშზე აღრიცხული აქვს ორგანიზაციის მიერ ტყეებში გზების მოწყობაზე გაწეული დანახარჯები 396,686 ლარის ოდენობით, რაც მოქმედი რეგულაციებით, ექვემდებარებოდა საცნობარო მუხლში - „საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა“ (07) ასახვას.

1.2 არასაოპერაციო ხარჯები

გამოვლენილი გარემოებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, არასაოპერაციო ხარჯები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 59,439 ლარს. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ არასაოპერაციო ხარჯების მონაცემი 49,867 ლარით, უზუსტოდ (გაზრდილად) არის წარმოდგენილი და ნაცვლად 59,439 ლარისა, შეადგენს 9,572 ლარს. ზემოაღნიშნული განპირობებულია ბუღალტრულ გატარებაში დაშვებული შეცდომის გამო. კერძოდ,

- საავტომობილო გზების დეპარტამენტს არასაოპერაციო ხარჯებად აღრიცხული აქვს სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გადაცემული 49,867 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები (საგზაო ნიშნები), რომელიც, მოქმედი რეგულაციით, წარმოადგენს „გრანტების“ მუხლით გაწეულ ფაქტობრივ ხარჯს და ექვემდებარებოდა შესაბამის ბუღალტრულ გატარებას.

1.3 სხვა არასწორად კლასიფიცირებული მუხლები

გამოვლენილი გარემოებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან არსებულ ორგანიზაციებში ფიქსირდება არასწორად კლასიფიცირებული მუხლების გამო გამოწვეული უზუსტობები, კერძოდ:

- ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ საბუღალტრო მონაცემებით, ორგანიზაციის მიერ განხორციელებულია საკუთარი სახსრებით 80,975 ლარის ღირებულების კაპიტალის შექმნა. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ სააგენტოს 2017 წელს „საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნის“ ოპერაცია არ განხორციელებია, ხოლო აღნიშნულ ანგარიშზე შეცდომით აღრიცხული აქვს ორგანიზაციის მიერ წლის განმავლობაში არასაბიუჯეტო სახსრებით შეძენილი მატერიალური მარაგები;
- სატყეო სააგენტოს საბუღალტრო მონაცემებით, ორგანიზაციის მიერ „გრანტების“ სახით გაცემულია 45,673 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები. აუდიტის შედეგად დგინდება, რომ სააგენტოს 2017 წელს მატერიალური მარაგების გაცემის ოპერაცია არ განხორციელებია, ხოლო აღნიშნულ ანგარიშზე ორგანიზაციას შეცდომით აღრიცხული აქვს სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისთვის გადაცემული მატერიალური მარაგები.

რეკომენდაცია N1.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებში შეცდომების პრევენციის მიზნით, მთავრობის აპარატმა შეიმუშაოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, მათ შორის, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში შეცდომების თავიდან აცილებას.

რეკომენდაცია N2.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან არსებულ ორგანიზაციებს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი და უტყუარი წარდგენის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალმა იურიდიულმა პირებმა უზრუნველყონ ბუღალტრულ აღრიცხვაში არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა და შეცდომების გასწორება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაში.

2. სხვა საკითხთა აზიზი

2.1 შიდა კონტროლის სისუსტე

გამოვლენილი გარემოებები

სატყეო სააგენტო, სხვა საქმიანობასთან ერთად, ახორციელებს ტყეებში გზების მშენებლობას და დაზიანებული გზების აღდგენით/გაწმენდით სამუშაოებს. დოკუმენტაციის მიხედვით, აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად, მხოლოდ სპეცტექნიკისათვის 2017 წელს გაიხარჯა 71,805 ლიტრი საწვავი. სპეცტექნიკის განთავსების ლოკაციების გათვალისწინებით, საწვავის გამართვა არ ხდება ბენზინგასამართ პუნქტებში და ხორციელდება საწვავის უშუალოდ სამშენებლო უბნებზე სატრანსპორტო საშუალებებით მიტანა. აღნიშნულ სამუშაოს წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დადგენილი რეგულაციის საფუძველზე, სამსახურებრივი ავტომანქანით უზრუნველყოფს შესაბამისი სატყეო ადმინისტრაციის დირექტორი. საწვავის ფიზიკურად გადაცემაზე სატყეო ადმინისტრაციის დირექტორსა და სპეცტექნიკის მექანიზატორს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც სატყეო ადმინისტრაციის უფროსი უშუალოდ არ მონაწილეობდა საწვავის გადაცემის პროცესში, თუმცა საწვავის გადაცემის დოკუმენტზე ფიქსირდება მისი ხელმოწერა. ხელმოწერის შესაბამის დროში განხორციელების ფორმალურობას ადასტურებს ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლის თანახმად, უფლებამოსილი პირების მობილური ტელეფონები მითითებულ თარიღებში არ ფიქსირდება შესაბამის გეოგრაფიულ არეალებში. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, არსებული კონტროლის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს საწვავის მითითებულ დროში წარმოდგენილი მოცულობით გადაცემის დადასტურებას.

რეკომენდაცია N3.

სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს

სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელობამ, ორგანიზაციის საჭიროებებისა და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, შეიმუშაოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, მათ შორის, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს ტრანსპორტის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციისათვის საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ და მიზნობრივ გამოყენებას.

2.2 შრომის ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოება

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით, დანამატი მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, დანამატს განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა შრომის ანაზღაურების სათანადო

გამჭვირვალობას, რადგან შესაბამისი ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

რეკომენდაცია N4.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს და მთავრობასთან არსებულ ორგანიზაციებს

შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დანამატის სახით გაცემული სახსრების გამჭვირვალობასა და დასაბუთებას.

2.3 პროგრამული ბიუჯეტი

გამოვლენილი გარემოება

„საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის“ პროგრამაში (პროგრამული კოდი: 03 06 02) შესყიდვების შედეგად გამოწვეულმა ჯამურმა ეკონომიამ შეადგინა 420,955 ლარი. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტს, რომელიც ახორციელებს „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის“ პროგრამას, წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე, ტენდერების დასრულების თარიღის გათვალისწინებით, შეეძლო ახალი პროექტების მომზადება და შესრულება, რაც არ განუხორციელებია.

რეკომენდაცია N5.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტს

დეპარტამენტმა უზრუნველყოს პროგრამების დაგეგმვა რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით და მხოლოდ სათანადო გაანგარიშებების საფუძველზე განახორციელოს საბიუჯეტო პარამეტრების ცვლილება/დაზუსტება. ამასთანავე, პროგრამის ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიების ხარჯზე, საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებით, უზრუნველყოს ახალი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE